სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42
2014 წლის 3 ოქტომბერი

ქ. სენაკი

„სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებაში (ვებგვერდი, 17/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.108.016152) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
ა) დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ვ" და „ზ" ქვეპუნქტები:

„ვ) სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლებაზე საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემა;

ზ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის საშტატო ნუსხის დამტკიცებაზე საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემა.".
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ბადრი კალანდარიშვილი**
მოადგილე